



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030438112479119

№ 04-199/ო

25 / იანვარი / 2019 წ.

**„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ**

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილებით დამტკიცებული „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის (დანართი N8) მე - 9 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 22 იანვრის N01/919 (04/880; 11.01.2019წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე - 4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებისათვის მოსარგებლეთა რეგისტრაციის წესი.

2. „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის პირის მოსარგებლედ ცნობა განხორციელდეს „ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ რეგისტრაციის საფუძველზე:

ა) „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლედ ცნობისათვის, ორსულმა პირმა, ორსულობის 13 0/7 კვირის ვადამდე, უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას;

ბ) პროგრამის ფარგლებში მომსახურების მისაღებად, მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ორსულის რეგისტრაცია ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში.

გ) ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში რეგისტრირებული მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და სააგენტოს მხრიდან მოსარგებლედ ცნობა (დადასტურება/უარი) უნდა განხორციელდეს რეგისტრაციიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა (დასტურის თაობაზე მოქალაქე იღებს ინფორმაციას, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით);

დ) დაუშვებელია ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების შეცვლა, გარდა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის (საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის ცვლილება) და ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გამონაკლისებისა (დადასტურებული დოკუმენტით - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა). ზემოაღნიშნული მიზეზებით მოსარგებლის გადამისამართების საფუძველიანობაზე პასუხისმგებელია უშუალოდ მიმწოდებელი დაწესებულება.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, მოდულში ასახული ინფორმაციის დამუშავებისა და მოსარგებლედ ცნობის უფლება (დასტურის უფლება) მიენიჭოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების სამმართველოს შესაბამის თანამშრომელს (თანამშრომლებს);

ბ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელს ან მისი ბრძანებით განსაზღვრულ, საამისოდ უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

4. დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსებს, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინონ ანგარიში ორსულთა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, მოსარგებლის რეგისტრაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას.


6. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 23 მარტის №04-179/ო ბრძანება.

8. ამ ბრძანების ამოქმედებამდე „ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ რეგისტრირებულ ორსულებზე გავრცელდეს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 23 მარტის №04-179/ო ბრძანებით დამტკიცებული მოსარგებლეთა რეგისტრაციის წესი.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

თამაზ მოდებაძე